ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიანგი

№ 23, თბილისი, 1941 წ. კვირა 5 ოქტომბერი. გამოცემის წელი XVIII. გამომცემლობა „კომუნისტი“ ფასი 50 კაპ.

8/X 41
355

ნახ. დონისა

„ჯ ი ლ დ ო“

— გაიგე? ჩვენმა მაიორმა მესამე ჯვარი მიიღო.

— როგორ, მესამე რკინის ჯვარი?

ვაშაკიძეული იმედი

ეროვნული ბიბლიოთეკა

როდესაც გერმანელმა ფაშისტებმა აღმოსავლეთის ფრონტზე მუხანათური ომი დაიწყეს. ჩვენი რედაქციის ხელმძღვანელმა მუშაკებმა გადასწყვიტეს ნაცვლად ორკვირეულისა, „ნიანგი“ ყოველკვირეულად გამოეცათ და მთელი ომის მიმდინარეობის დროს ჟურნალს მისცემოდა სამხედრო თავდაცვის ხასიათი.

— მერე შევძლებთ კი ჟურნალის ყოველკვირეულად საჭირო მასალებით უზრუნველყოფას?—შეეკითხა რედაქტორს ერთი მოსკეპტიკოსი თანამშრომელთაგანი.

მის საპასუხოდ რედაქტორმა გაზეთი გაშალა და მაგიდაზე დასდო:

— ჰა, წაიკითხეთ!

ყველანი გაზეთს დავაცქერდით.

— რა წავიკითხოთ?

— აგერ—თითით გვიჩვენა,—ხაზგასმული სიტყვები. გაზეთში თეთრ ქაღალდზე შავი საღებავით ეწერა:

„მე იმედს ვამყარებ ადამიანში დაბუდებულ უნამუსობაზე“. ჰიმლერი.

— ხომ იცით ვინ არის ჰიმლერი?

— როგორ არ ვიცი, ფაშისტურ გერმანიის პოლიციის უფროსი, ჰიტლერის მარჯვენა ხელი.—უპასუხა მოსკეპტიკოსი თანამშრომელმა.

— ხომ წაიკითხე დაკვირვებით?

— არა, დაკვირვების ნაცვლად ჯერ მხოლოდ გაკვირვებით წავიკითხე.

— მაშ დაუკვირდი,—და რედაქტორმა ხელახლა წაუკითხა: „მე იმედს ვამყარებ ადამიანში დაბუდებულ უნამუსობაზე. ჰიმლერი“.

— კი მაგრამ ჩვენ რა შუაში ვართ?

— მეც, ჩემის მხრივ, იმედს ვამყარებ ფაშისტებში დაბუდებულ უნამუსობაზე.

— ჩვენც! ჩვენც! უამრავ მასალებით მოვმარაგდებით. შევსძახეთ ყველა დამსწრეებმა, რედაქტორს, რომელიც კმაყოფილებით იღიმებოდა.

გამართლდა ჩვენი იმედი. ფაშისტების თეორიამ და პრაქტიკამ უამრავი მასალა მოგვცა, მაგრამ ჩვენს გამართლებულ იმედს განსაკუთრებით აგვირგვინებს ქვედით მოთავსებული დოკუმენტი:

ოჯახებში მაცხოვრების
ბერლინის სახელმწიფო განყოფილება
ნოლენდორფპლატი №38

საოლქო განყოფილება ბრაუნშვეიგში

„პატიცემულო ციბან!

ომის გამო გერმანელ მამაკაცთა დიდი რაოდენობა ფრონტზეა და ამიტომ საბოლოოდ მამაკაცთა წინაშე ასეთი მოვალეობა დგება: იზრუნონ დარჩენილ ქალებსა და მამაკაცებზე იმისათვის, რომ გაბარდონ შომადომა.

თქვენ გთხოვეთ ნაყოფიერების აზრით განსაკუთრებით უნარიან მამაკაცად და ამიტომ მოგმართავთ თხოვნით შეუდგეთ გერმანიის წინაშე ამ დიდმნიშვნელოვანი, საპატიო მოვალეობის შესრულებას.

ამავე დროს აღვნიშნავთ, რომ თქვენი ეს მოვალეობა სალსის წინაშე თქვენს ცოლს არ აძლევს თქვენთან გაყრის უფლებას. ამ მცირე უსიამოვნებას ყოველი ცოღი სალისით უნდა შეურიგდეს როგორც ომის გარდუვალ შედეგს.

თქვენ დაგენიშნათ რაიონი, სადაც 9 ცოლი და 17 ქალიშვილია და რომელსაც შემდეგში უფრო დაჩვრილემეთ მიგითითებენ.

თუ თქვენ მიგაჩნიათ, რომ არ შეგეწევთ უნარი იმ საქმიანობისათვის, რის შესრულებაც გვევალებათ, ამის შესახებ უნდა აცნობოთ ჩვენოსსენებული მისამართით და მიუთითოთ შესაფერ მამაკაცზე, რომელსაც შეუძლია შეგცვალოთ თქვენ, და დაურთოთ ნოწმოწა თქვენი უუნარობის შესახებ, რომელიც ექიმის მიერ უნდა იყოს სულმოწერილი.

იკეთუ შეგიძლიათ თქვენთვის დანიშნულ რაიონს გარდა მიიღოთ მეორე რაიონიც, თქვენ გახდებათ მეუფეე ოფიცერი, და ნაყოფიერებისათვის განკუთვნილ პრემიას გარდა მიიღებთ კიდევ პირველი კლასის ორდენს წითელ ლენტზე გვართა განგრძობისათვის.

ამ შემთხვევაში თქვენ ერთლოვს დღეებში მიიღებთ იმ ქალების სიას, რომლებთანაც უნდა იარეთ. თქვენი დალოცვილი საქმიანობა უნდა დაიწყოთ დაუყოვნებლივ, ამ წერილის მიღების შემდეგ. თქვენი საქმიანობის წარმატების შესახებ მოხსენებას წარმოადგენთ 9 თვის შემდეგ, გამოიყენებთ რა ფორმულარებს, რომლებსაც მიიღებთ.

ოჯახებში მაცხოვრების სახელმწიფო განყოფილება...“

ეს არ არის „ობოლი“ დოკუმენტი. საკითხავია, რამდენი რაოდენობით უნდა იყოს დარიგებული ასეთი „დალოცვილ საქმიანობისაკენ“ მომწოდებელი ფირმანი?

ჰიტლერის სპეციალური „დაგრილების საქმეებზე მომუშავე“ აპარატის გამოანგარიშებით, გერმანიაში სულ -8 მილიონამდე ქმრიანი ქალია. აქედან ჩვენის აზრით, 7 მილიონი მაინც იქნება უქმროდ ან უნაყოფოდ დარჩენილი. თუ გავითვალისწინებთ „დასაგრილებლად მობილიზებულ“ ცეიჰანისადმი განკუთვნილ რაიონის გათხოვილ ქალების („ცოლების“) და ქალიშვილების შეფარდებას (9 : 17), შეგვიძლია დავასკვნათ, რომ „საპატრონო“ ქალიშვილების რიცხვი გერმანიაში 13 მილიონამდი აღწევს. ამრიგად საერთო „ბალანსში“ მიღებულ 20 მილ. ქალზე ფაშისტებს სულ ცოტა 400.000 ასეთი „ბრწყინვალე“ დოკუმენტის დამზადება დაჭირდებათ იმ შემთხვევაშიც კი, თუ თვითეული ამ „მადლიანი საქმისათვის“ მობილიზებული მოიერიშე „თავს გასწირავს“ ნაცისტურ სამშობლოსათვის და ორმაგ „დატვირთვას“ მიიღებს. ჩვენ გვჯერა, რომ ფაშისტურ გერმანიის ბელადები ამ „მადლიან საქმეში“ წარმატებულ შედეგების მიმღებ „გმირებს“ ორდენებით და სხვა საჩუქრებით შეხვდებიან. მაგრამ საინტერესოა როგორ შეხვდებიან ამ „ცივილიზატორული“ დოკუმენტების გამოქვეყნებას „რასის მწარმოებელ“ მამაკაცებზე მიმაგრებულ ქალების ძმები, მამები, საქმროები და ქმრები, რომლებიც ამჟამად ფრონტზე იმყოფებიან?

პირადად ჩვენი—„ნიანგელების“ დამოკიდებულება ზევითმოყვანილ დოკუმენტისადმი კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ნათელი და გარკვეულია: ჩვენ დიდ იმედს ვამყარებთ ფაშისტებში დაბუდებულ უნამუსობაზე: პირდაპირ „გვახრჩობენ“ საჩვენო მასალებით.

ს. ისარიძე

თავქებაძე და ჯემპები



ზოგი ხელმძღვანელი საწარმოს ცალკე აგრეგატის წარმატებებს ებღაუჭება და თავს ისე აჩვენებს, თითქოს გეგმებს 200% ასრულებდეს, ნამდვილად კი, როცა ჯამდება მთელი საწარმოს მუშაობის შედეგები—ირკვევა, რომ გეგმა ასი პროცენტითაც ძლივს შეუსრულებია.

გაზეთებიდან.

თერაფონტე თავქებაძე ქარხნის დირექტორია,
ოცი დაზგა აბარია და საამქრო ორია,

საწარმოს „თავს დასტრიალებს“ საღამოს თუ დილითა,
„თავს არ ვზოგავ, სულ ვმუშაობ სტახანოვურ სტილითა“

ამბობს ის და დასძენს: — „ჩემს სტილს ნუ ედრება ნურავინ,
საფეთქლებზე ოფლს ვიწურავ, ტემპის ზღვაში მცურავი“.

არა გჯერათ? აი, თუნდაც ამ ერთი თვის წინათა,
მისი ხუთი დაზგის ციფრმა „205%“-ით ინათა.

მყისვე ამცნო თავქებაძემ ზემდგომ ინსტანციასა:
— „ორასოვანთ“ რიგში მთვლიდეთ თერაფონტე ძიასა“.

კიდევ თვე და.. მის სხვა დაზგებს აუჭრელდათ ნაბიჯი,
კვლავ ოფლს იწმენდს თერაფონტე, დამკვრელებში „ნაფიცი“

აჯამებს და არ გამოდის ციფრი შეთანხმებული:
ერთ დაზგაზე ორას პროცენტს — ასი აქვს მოკლებული

მეორეზე — სამოც პროცენტს მცირედ ასცილებია,
მერვე დაზგას ოთხმოცდაათ ციფრზე დასძინებია...

აქეთ ჯუმლი, იქით ნაშთი, კიდევ იქით შედეგი,
შეაჯამეს კვარტალი და გამოირკვა შემდეგი:

მართალია, ზოგ აგრეგატს მიღწევა აქვს აშკარა,
და მიღწევით ორასოვანთ გმირულ მწკრივში ჩამდგარა,

მაგრამ ყველა შედეგები, როცა ერთად გროვდება
მთელ კვარტალის პროცენტები 100-ს ძლივს უახლოვდება“.

— როგორ მოხდა? იკითხა და თერაფონტე გაწბილდა, —
აკი ზოგი დაზგის ციფრი ორას პროცენტს ასცილდა?..

როგორც მოხდა, — სულ მარტივად აუხსნეს მას კრებაზე:
— ასე ხდება, როცა კაცი ფიქრობს თავის ქებაზე

და გეგმიან მუშაობას ისე არ ხელმძღვანელობს,
რომ საწარმოოს ყველა კუნთმა რიტმი არ შეანელოს...

თან დასძინეს: ცნობად ვეტყვით შენისთანა ყმაწვილებს,
ვინც ბრძოლის დროს თვის სიფხიზლეს გონივრად ანაწილებს,

იგი ნასროლს არასოდეს მიზანს არ ააცილებს
გაიმარჯვებს და შედეგიც იმას არ გააწბილებს.

ომახი მედგარიძე

წარჩინება

(გერმანული ნაწილის შტაბში ხმის გამაძლიერებელი აპარატის წინ ზის ფაშისტი კაპიტანი ფონ-ოხერი და საათს დაჰყურებს. კაპიტნის წინ ლეიტენანტი ფონ-ნადირაუ გამოჭიმულა და უპატაკებს).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეიტენანტი — ასე რომ, ბატონო კაპიტან, ყველაზე საიმედო ბიჭები შევარჩიე! ეფრეიტორი გერმანშტეინი და ორი მამაცი ჯარისკაცი.

კაპიტანი—ეფრეიტორი გერმანშტეინი? ჰოო, ვიცი, ჭკვიანი და ეშმაკი ბიჭია. მაგრამ რატომ აქამდე არ დაბრუნდნენ? დახედეთ საათს, დროა.

ლეიტენანტი—მძიმე დავალება ჰქონდათ, ბატონო კაპიტან! განა იოლი საქმეა მტრის ზურგში შეიპარო და ხმის გამაძლიერებელი ასი აპარატი დადგა?

კაპიტანი—ეს მართალია, მაგრამ მაინც დიდი დრო გავიდა.

ლეიტენანტი—მერწმუნეთ, ისინი გაამართლებენ თქვენს იმედს, ბატონო კაპიტან! წარმოიდგინეთ, რა სურათი იქნება, როცა ერთი ჩვენი თვითმფრინავის ხმას ასი თვითმფრინავის ხმად გადააქცევს ჩაწყობილი აპარატი? როცა ერთი ტანკის ხმაურობას ასი ტანკის ხმაურობად მოაჩვენებს რუსებს? უეჭველია, შეეშინდება წითელ-არმიას... დარწმუნებული ვარ, გენერლისგან წარჩინებას მიიღებთ.

კაპიტანი—ჰო, გენერალმა ბრძანა: თუ ხმის გამაძლიერებელი აპარატი კარგად ჩააწყეთო, წარმატებაზე წარგადგენთო.

ლეიტენანტი—მეც? ბატონო კაპიტან, მეც?

კაპიტანი—თქვენც... თქვენც ხომ დიდი დამსახურება მიგიძღვით ჩვენი არმიის წინაშე.

ლეიტენანტი—მადლობას მოგახსენებთ, ბატონოკაპიტან! ნება მიბოძეთ ავანსად მოგილოცოთ რკინის ჯვარი.

კაპიტანი—ჰო მაგრამ, რომ არა სჩანან? რომ არ დაბრუნდნენ? დრო გადავიდა. რას იტყვით, ტყვეთ ხომ არ ჩავარდნენ?

ლეიტენანტი — შეუძლებელია. თუმცა ამ შემთხვევაშიც გვასახელებდნენ. ისინი საიმედო ბიჭებია, ფაშისტური სულით არიან გაჟღენთილი.

(ამ დროს ახმაურდება ხმის გამაძლიერებელი აპარატი. კაპიტანი და ლეიტენანტი სმენად იქცევიან. აპარატიდან ისმის:).

„ისმინეთ! ისმინეთ! ლაპარაკობს წითელი დივიზიის შტაბი“.

კაპიტანი — ვნახოთ, ვნახოთ, რას ილაპარაკებს.

აპარატი—ლაპარაკობს ფაშისტების მკვდართავიანთა პოლკის მესანგრე ეფრეიტორი—გერმანშტეინი. ისმინეთ! ისმინეთ!

(კაპიტანი გაფითრებული უყურებს ხან აპარატს, ხან ლეიტენანტს. ლეიტენანტი გაფითრებულია, ნიკაპი უკანკალებს).

აპარატი—მე, ფაშისტების მკვდართავიანთა პოლკის მესანგრე, ეფრეიტორი გერმანშტეინი მივმართავ ჩემს ამხანაგებსა და მეგობრებს: ძმებო, ამხანაგებო, დაჰყარეთ იარაღი და გადმოდით საბჭოთა კავშირში. რა გვაქვს ჩვენ საბჭოთა კავშირთან სამტრო? კმარა ომი! ძირს ომი! დროა ბოლო მოვუღოთ ფაშისტებს, ძალით რომ გვერეკებიან ომში. მე და ჩემი ორი ამხანაგი ნებაყოფლობით გადმოვედით საბჭოთა მხარეზე და თქვენც მოგიწოდებთ: დაჰყარეთ იარაღი! დაჰყარეთ იარაღი!..

კაპიტანი—უუჰ, შენი!.. ლეიტენანტ ფონ-ნადირაუ, ეს რა არის?

ლეიტენანტი—მე... მე, ბატონო კაპიტან, შევარჩიე...

აპარატი—ჩვენ მარტონი არა ვართ. ასე ფიქრობს ბევრი გერმანელი ჯარისკაცი. ჩვენ მოგვბეზრდა ფაშისტური რეჟიმი. არ გვინდა მონური ცხოვრება. კმარა მოთმენა... გაუმარჯოს საბჭოთა ქვეყანას!

კაპიტანი—უუ! დონნერ-ვეტტერ! ეს ვინ ოხერი და სალახანა გაგიგზავნიათ, ლეიტენანტ? მე თქვენ გაჩვენებთ სეირს! (დაარტყამს ჭუსლს აპარატს, დაამტვრევს და გამოვარდება გარეთ. უკან მისდევს ლეიტენანტი).

(გარეთ, შტაბის გარშემო, ჯარისკაცები შეკრებილან და უსმენენ. აპარატი არსად არა სჩანს, მაგრამ მკვეთრი და ძლიერი ხმა ისმის, თითქოს ასი კაცი, ასი სხვადასხვა მხრიდან მიწაზე და ჰაერში ლაპარაკობსო. კაპიტანი შეჩერდება და ყურს უგდებს).

ხმები:—ვაცხადებთ ჩვენი სარდლობის საყურადღებოდ: დავალება პირნათლად შევასრულეთ. ხმის გამაძლიერებელი ასი. აპარატი ჩვენს ტერიტორიაზე ჩავაწყეთ. დე, ასივე აპარატმა გააძლიეროს ჩვენი ხმა! დე, ასივე აპარატმა გადასცეს ჩვენი მოწოდება და სიმართლე ჩვენს არმიას: წითელი არმია ძლიერია! ნუ შეაკლავთ თავს! შეაბრუნე იარაღი და დაჰკარით ფაშისტებს!..

კაპიტანი—(ყვირის) სდექ! ხაალტ! დაიშალენით! შემორბის გენერალი.

გენერალი—კაპიტან ფონ-ოხერ, ეს რა ამბავია? ხაალტ! სდეექ!

აპარატი—გერმანელი ხალხი შიმშილობს! ფაშისტი გენერლები ატყუებენ ხალხს!.. შეაბრუნეთ იარაღი! დაჰკარით ფაშისტებს!..

გენერალი—კაპიტან ფონ-ოხერ! ლეიტენანტ ფონ-ნადირაუ! მე თქვენ გაჩვენებთ... მე თქვენ სამართალში მიგცემთ. სამართალში! (გენერალს ცოფი მოერევა, სიტყვა ჩაუწყდება, მუშტით ემუქრება ხმებს, ჰაერსა და მიწას. წითელი არმიის შტაბიდან კი ისევ-ისე ისმის სიმართლის ხმა).

როდიონ ქორქია

უნგრეთის არმიის შეიარაღებაში

თანამდებობიდან „გაანთავისუფლეს“ უნგრეთის არმიის მთავარი შტაბის უფროსი „ჯანმრთელობის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობის გამო“.

გაზეთებიდან

ნახ. ს. ნადარეიშვილისა.

— როგორია ჩვენი შტაბის ახალი უფროსის ჯანმრთელობის მდგომარეობა?

— ახლა კარგია, მაგრამ მომავალში, რა მოვახსენო. ალმოსავლეთის ფრონტზე ომის დაწყებამდე ძველი უფროსის ჯანმრთელობაც კარგი იყო.

ბრჭყალი

ნახ. ს. ნადარეიშვილისა

— როგორ გავძარცვოთ ეს „მუზეუ[illegible] სანამ ჩვენს ხელშია, ჩვენი ნებ[illegible]ად ბითუმად და ვინდ ნაწილ-ნაწილად.

კაპიტანი მ[illegible]ერბერგერ

მარადიორ მხეცერბერგერს
ფაშისტებმა დაუძახეს.
წინ დაუდეს დიდი რუკა,—
სპბოეთი დაანახეს.

უთხრეს: „აი, ხომ კი ხედავ,
აქ რამდენი ქალაქია?
და ყოველგან უმრავი
სანოვაგე ალაგია.

ჰო, და თუ შენ, კაპიტანო,
ხარ ნამდვილი არიელი:
იქ საშოვარს ბევრს იშოვი,
არ დარჩები ცარიელი“.

კაპიტ[illegible]ერბერგერ
სიხარ[illegible]ასა სწვდება.
მას ძ[illegible] საბჭოეთის
უზი[illegible]ელანდება:

ხეივან[illegible]ერას გავშლი —
აინ[illegible]ელალ,
ცვი[illegible] „ბუსანკები“,
ლრა[illegible]ულ „ხალა“,

ფერ[illegible] ხორცლეულის,
თან [illegible] ფურად ლალ, —
წარმ[illegible] ნეტარებით
მან [illegible]ერე თვალი...

როს შემოძვრა საბჭოეთში,
კანიბალთა ნაშიერი.
მხეცურ თვალებს აფეთებდა,
ოცნებობდა კვლავ მშიერი.

პირზე ნერწყვი მოსდიოდა
გაუმწვავდა უფრო მადა,
მაგრამ წითელ არმიელებს
სულ სხვა კერძი მჭონდათ მზადა:

დაიმეტეს ზარბაზნებმა, —
დაიგრგვინა რისხვით ცამ, —
მხეცერბერგერ ისე გაჰქრა,
ხიზილალა ვეღარ სჭამა.

ბრიგოლ ცეცხლაძე

ნახ. ბ. ვადბოლსკისა

გულგარული არლანი

„ფიუერერი“ გულმოდგინედ სახელურს ატრიალებს
და არლანი ბულგარული ვულგარულად ჭრიალებს.
ჰანგი ისმის მოკიბული მოშლილი გარმონივით
სჩანს ტიკინა ზურგს იქავეს, არიელ პატრონივით,

მ ი ზ ე ზ ი

ჰელსინკის ქალაქის თვითმართველობის წევრთა მრავშენელოვანი ნაწილი საპატიმროში.

გაზეთებიდან

ნახ. ს. ნადარეიშვილის

— რატომ არის ცარიელი სხდომის დარბაზი?

— თვითმართველობის წევრები საპატიმროში სხდომის გამო სხდომაზე ვერ გამოცხადდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახ. ნაცვლიშვილისა.

შ უ რ ი



ფაშისტი მფრინავები:—რა ბედნიერია ფეხოსანი ჯარი, ვინც ცოცხალი დარჩება, აქვს საშუალება, ძარცვა-გლეჯისა, ჩვენ კი ჰაერში ვინ გავძარცვოთ!..

საქმით ამჯობინებს

ნახ. მ. ჩერემნიხისა

„კროკოდილიდან“



— როგორ მუშაობ, უძღვები საქმეს?
— კი, ნორმის ნაწილი უკვე შევასრულე.
— მაინც რამდენი?
— ჯერჯერობით 250 პროცენტი.

ანტონესკუ ბჭობდა, ხალხი იცინოდა

გენერალ ანტონესკუმ გამოსცა სპეციალური სამხედრო სესხი, რომელზედაც რუმინელი მოსახლეობა ხელს არ აწერს“.

გაზეთებიდან

ანტონესკუ ღმუის, ანტონესკუ გმინავს,
უფულობის გამო ღამე აღარ სძინავს,
ომს თანხები უნდა, სად იშოვოს ფული
და „ფიურერს“ რითი დაუამოს გული?
ბოლოს მოიფიქრა: გამოუშვა სესხი
და ყველას მიმართა ხვნეშითა და კვნესით:
„ქველმოქმედო, უხვო, რუმინელო ერო,
ფიურერის მადლით ლაღო, ბედნიერო
სესხი გამოუშვი, რომ მოვიგოთ ომი
და მთლიანად მოვსპოთ მტერი თავზე მდგომი
რომ მსოფლიოს ვამცნოთ გამარჯვება ჩვენი
ბერლინიდან გვერგოს მადლობა და ძღვენი;
გენდობით და ვიცი, რომ ამ ორ-სამ-დღეში
ხელს მოაწერთ ერთხმად, განაღდდება სესხი.
სთქვა და ანტონესკუ მოელოდა ფულებს
და წინდაწინ სჭვრეტდა სკივრებს დალუქულებს,
მაგრამ გადიოდა დღეები და კვირა
ანტონესკუმ „თხოვნა“ ძალზე გაახშირა,
მთავრობის წევრებმაც დაუმშვენეს მხარი.
დაემუქრენ ყველას, დასცეს შიშის ზარი.
მაგრამ არვინ შეკრთა მის ხმალით და ხიშტით
ეზარალა „სესხი“, ვერ იშოვა ხვიშტი.

დ. გელაშვილი.

კრიალოსანიდან

მანია

თუ ყმაწვილი იპარავს, ეს მანიაა;
თუ მოზრდილი იპარავს, ეს კლეპტომანიაა;
თუ ქვეყანა იპარავს, ეს გერმანიაა.

(ნორვეგიული ხალხური ნათქვამიდან)

თუ შემოგხვდეს

თუ მგელი შემოგვხდეს, ცხვარს ნუ აჭმევ;
თუ დათვი შემოგვხდეს, თაფლს ნუ აჭმევ;
თუ გესტაპოელი შემოგხვდეს, ტყვია აჭამე.

(იუგოსლაველ პარტიზან პ-ს წერილიდან)

უარესი და უკეთესი

დღევანდელ რუმინეთში ყოფნა იტალიაზე უარესია;
იტალიაში ყოფნა გერმანიაზე უარესია;
გერმანიაში ყოფნა ჯოჯოხეთზე უარესია;
ჯოჯოხეთში ყოფნა გერმანიის კონცბანაკზე უკეთესია.

(წერილი გერმანიის კონცბანაკიდან)

მამაცი მხედრობა

ნახ. ბ. კლინჩისა

— მე კატეგორიულად წინააღმდეგი ვარ ჩვენი ჯარისკაცების მძარცველობისა: შტაბებს თითქმის აღარაფერი რჩებათ:

ნახ. ნ. რადლოვისა

სიმრავლით აჯობეს.

ინსტრუქციის თანახმად

„ჰებელსის ინსტრუქციის თანახმად მხატვართა ოცეულები ვალდებულნი არიან „ყოველგვარი წარმოსახვის გარეშე, ხელის მოლბერტების შემწეობით აჩვენონ მტრების არარაობა და გერმანელი ჯარისკაცის ზეშთაგონებული სახე“.

გაზეთებიდან.

ნახ. ს. ნადარეიშვილისა

გერმანელი ჯარისკაცის „ზეშთაგონებული“ სახე.

გამოსავალი

„ანტონესკუმ ბრძანება გასცა ოცზე მეტი რუმინელი გენერლის დახვრეტის შესახებ, რომლებმაც განუცხადეს მას, რომ „რუმინელი ჯარისკაცები უარს ამბობენ იომონ, რადგან არა სურთ სისხლი ღვარონ გერმანიისათვისო. მათ მოსთხოვეს ანტონესკუს სეპარატიული ზავი დაედო საბჭოთა კავშირთან“.

გაზეთებიდან

რა დრო დაუდგა „საწყალ“ გენერლებს, —
მათ ანტონესკუ განრისხებია,
შფოთავს უმწეოდ, — ომში წითლებთან
რომ გამარჯვება არ ღირსებია.

როგორ არ უნდა გაოცდეს კაცი, —
ანტონესკუ ხომ სისხლია მათი?
გენერლები კი მიმხვდარან, ადრე
მათი დაღუპვის დაკრავს საათი.

რუმინელ „მეფეს“ აღარ ჩივიან,
ილონდ უშველონ დროულად თავებს,
რადგან იციან რომ დასტოვებენ
ჩინებთან ერთად საკუთარ ტყავებს.

და მის წინაშე ისინი წარსდგენ
და მოახსენეს შიშით და კრძალვით,
საბჭოეთს ნებით შეუკრას ზავი,
სანამ შეკრავდეს მათ ხალხი—ძალით“.

რა მოისმინა მათი ჩივილი,
დაუბრიალა გენერლებს თვალი,
ბრძანა: დახვრიტეთ! დახვრიტეს კიდეც,
ამაში ჰპოვა გამოსავალი.

დე, ასე იყოს... ამბობენ ხოლმე,
იმედიც კარგი საქონელია,
რუმინელები კი სხვას ფიქრობენ,
თვით მის დახვრეტას მალე ელიან.

სანდრო

ძმები ეფრეიტორები

ძმაო პეტერ!

მე ახლა ბელგიაში ვარ და წინ მივიწევთ. რკინის ჯვარი მივიღე. მოიწერე წერილი.

შენი **ჰანსი.**

ძმაო ჰანს!

მე ნორვეგიაში ვარ. მამა შინ დავტოვე. ჩვენც წინ მივიწევთ.

შენი **პეტერი.**

ძმაო პეტერ! მე ახლა აღმოსავლეთის ფრონტზე ვარ, მეორე ჯვარი უნდა მივიღო. შენ როგორ ხარ?

შენი **ჰანსი.**

ძმაო ჰანს!

მეც აღმოსავლეთის ფრონტზე ვარ, ოღონდ ფინეთის მხრიდან. ჯვრის მიღება მეც მინდა, ოღონდ აქ წითლები დიდ წინააღმდეგობას გვიწევენ.

შენი **პეტერი.**

პეტერ!

მე მგონია, ჯვარს კი მივიღებ, ოღონდ ამ ფრონტზე ბრძოლა ძნელი ყოფილა. წითლები ჩვენც გვიწევენ მედგარ წინააღმდეგობას. მომწერე, სადა ხარ ან საით მიდიხართ?

ჰანსი.

ჰანს!

მე უკვე მივიღე ჯვარიც და ჭრილობაც ორივე ფეხში. სადა ვარ ახლა? მატარებელში. საით მივდივარ? არ ვიცი, ალბათ რომელიმე ლაზარეთში.

პეტერი.

პეტერ! შენმა წერილმა დამაფიქრა, ოღონდ ერთის მხრივ გამახარა: თუ ფეხებში მძიმედ ხარ დაჭრილი, ეს ძალიან კარგია, მაგრამ თუ მსუბუქად — მაშინ შეიძლება ადრე მოგირჩინონ და ისევ ფრონტზე დაგაბრუნებენ. ნეტავი მეც დავიჭრებოდე!.. მამის ამბავი ხომ არ იცი?

ჰანსი.

ჰანს!

მე უკვე საავადმყოფოში ვარ. შემიძლია გაგახარო: ცალი ფეხი მომჭრეს, ასე რომ, მეორე თუნდაც მომირჩეს, მეომრად მაინც აღარ გამოვდგები. შინ წავალ და ვიმუშავებ, მით უმეტეს, რომ მოხუცი მამაჩვენი საფრანგეთში გაუგზავნიათ გარნიზონში.

პეტერი.

პეტერ! დღეს ორმაგი სიხარული მაქვს: ერთი რომ შენთვის ფეხი მოუჭრიათ და მეორეც—მეც მარჯვენა მკლავი მომამტვრია ტყვიამ (ძალიან მარჯვედ ისვრიან ეს წითლები!) ახლა მეც უკან გამომგზავნიან. მადლობა ჩვენს გერმანულ უფალს, რომ სამოცდაათი წლის მამაჩვენი გარნიზონში გაუგზავნიათ, თორემ აქ რომ გამოეშვათ, სიცივით მოკვდებოდა. დედის წერილი მივიღე; **კატის ხორცი ძალიან გაძვირდა** და აღარც იშოვებაო, იწერება.

ჰანსი.

ჰანს!

სასიამოვნოა, რომ მარჯვენა ხელი მოგტეხეს. მაგრამ ვაი, თუ თაბაშირში ჩაგისვეს და მოგირჩინეს... ყოველ შემთხვევაში, მიიღე ზომები, რომ მკლავი არ მოგირჩეს; თუ იმას მოახერხებ, რომ მოგჭრიან, ეს ხომ გაკეთება იქნება. მამის წერილი მივიღე; გარნიზონში კარგად ვცხოვრობთო, ფრონტზე დახოცილი ცხენების ხორცი ხშირად გვაქვსო.

პეტერი.

პეტერ!

მომილოცე: მარჯვენა ხელი მომჭრეს: ცალხელა დავრჩი. ექიმი უარზე იყო, მაგრამ მე ფრონტიდან წამოღებული რამდენიმე ოქროს კბილი ვაჩუქე და ხელად მომკვეთა. ალბად მალე გნახავ: შენც ხომ შინ მოდიხარ?

ჰანსი.

ამ უკანასკნელი წერილის შემდეგ გავიდა ორი კვირა და ეფრეიტორები, ძმები პეტერი და ჰანსი ისევ აღმოსავლეთის ფრონტზე შეხვდნენ ერთიმეორეს.

— შენ რატომ, პეტერ?

— მითხრეს, მართალია, ცალი ფეხი არ გაქვს, მაგრამ შოფერობა შეგიძლიაო... გამოცდილი ხარო... შენ რატომ, ჰანს?

— მე მითხრეს, მართალია, მარჯვენა ხელი არა გაქვს, მაგრამ თუ მოინდომებ, მარცხენათიც იბრძოლებო... ორივე ხელით ვერაფერი დავაკელი მაგათ და ახლა ცალით, ისიც მარცხენათი გავხდები უძლეველი?

ინვალიდ ეფრეიტორების საუბარი ოფიცრის ბრძანებამ შესწყვიტა. ინვალიდები ხვნეშით წამოდგნენ და შეუდგნენ მზადებას შეტევისათვის, რათა ამჯერად შერჩენილი ხელი და ფეხიც დასტოვონ.

ალ. მაღულარია

ნახ. ვ. ლომიძისა

„ნადავლი“

„დაპყრობილ სოფლებში, გერმანელი ფაშისტები ვერ შოულობენ სანოვაგეს“.

გაზეთებიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არიქა, მივაგენით, გვეშველა.
— ყოჩაღ, მამაცებო, აბა მომახსენეთ, ვის მიაგენით?

— სოკოს მივაგენით, ჰერ პოლკოვნიკო, ერთი ცალი სოკო ვიპოვეთ.
— რა ვუყოთ, ეგეც ნადავლად ჩაგვეთვლება ამ გადამწვარ სოფელში, სადაც კატებსაც ველარ ვპოულობთ... გადაეცით მზარეულს შემიწვას.

სარედაქციო კოლეგია

რედაქციის მისამართი ყორესის ქ. № 5.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 1941 წ. 4/X. ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. გამომც. № 57. შეკვეთა № 1466. ფუ42204. ტირაჟი 15.000.